



ოქტომბერი 2020

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #13

რეიტინგების ომი: შეუძლია თუ არა მას კვლევების მიმართ საზოგადოების ნდობის შერყევა

დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც პოლიტიკოსებს, პარტიებს, კანონმდებლებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარმოადგენს უქმნის საზოგადოების პრიორიტეტებისა და განწყობების შესახებ. ქართულ საზოგადოებას, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, არაერთი საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგი მიეწოდება. **საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)** გარდა, რომლებიც დიდი ხანია, ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ აქტორებს ამ სახის ინფორმაციას აწვდიან, ბოლო დროს, რამდენიმე ტელეარხმა და პოლიტიკურმა პარტიამაც გადაწყვიტა, საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაეტარებინა და მისი შედეგები გაესაჯაროებინა.

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის არსებული განსხვავებები საზოგადოებაში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. პოლიტიკური პარტიების რეიტინგები, სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, არსებითად განსხვავებულია. როგორც ჩანს, ეს (იდეალურ შემთხვევაში) ობიექტური სოციოლოგიური ინსტრუმენტი სხვადასხვა აქტორის მიერ პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენება. საზოგადოების დიდი ნაწილი ისედაც ნაკლებად ენდობა საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგებს. ამის ფონზე, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გაისმის მმართველი ძალისა და ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან განცხადებები, რომელსაც ეჭვი შეაქვს ჩატარებული გამოკითხვების მეთოდოლოგიაში. ამასთანავე, ზოგიერთი პოლიტიკოსი კვლევითი ორგანიზაციების პოლიტიკურ მიუკერძოებლობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. შედეგად, შესაძლოა, მივიღოთ ქართული საზოგადოების მხრიდან კიდევ უფრო მეტი უნდობლობა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიმართ.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) თხოვნით, ქართველმა, გერმანელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა შემდეგ შეკითხვებს უპასუხეს:

- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პოლიტიზირების არსებული ტენდენციიდან გამომდინარე, რა აზრი შეიძლება, გამოიტანოს ქართველმა ამომრჩეველმა ბოლოდროინდელი გამოკითხვებიდან?
- რამდენად შესაძლებელია, პოლიტიკოსების მხრიდან კვლევითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობებმა საფრთხე შეუქმნას, ზოგადად, არაპარტიული გამოკითხვების როლს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში?
- როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? რამდენად შეძლებს პროფესიული ასოციაციის ან უნივერსიტეტების ჩართვა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროცესში პრობლემის მოგვარებას?



ლუის ნავარო, ევრაზიის პროგრამის მკვლევარი, საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი

ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნება 2011 წელს ასპარეზზე გამოსვლის დღიდან თავს ესხმოდა მეცნიერულად სანდო მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს. სავარაუდოდ, ეს იმ ფართო გეგმის ნაწილი იყო, რომლის დაფინანსების წყაროც არ იყო ცნობილი და რომლის მიზანსაც ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაცია წარმოადგენდა. ქართული

ოცნება, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დღემდე, იმ გზავნილის ერთგული რჩება, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი, რომელსაც მმართველი გუნდი არ ეთანხმება, არალიგიტიმურია ან ნაციონალური მოძრაობის მიერ ფინანსდება. პარალელურად, გაიზარდა ისეთი კვლევების რაოდენობა, რომლებიც მედია-ორგანიზაციების ან პოლიტიკური პარტიების მიერ არის ორგანიზებული. ამგვარი საზოგადოებრივი აზრის კვლევები ნაკლებად არის მეთოდოლოგიურად გამართული. ასევე, თითქმის არაფერია ცნობილი ქართული ოცნების მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვების შესახებ.

ქართულ ოცნებასთან დაახლოებული მედიის დომინირებამ და მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან პერიოდულმა საჯარო ბრალდებებმა შეარყია ნდობა არაპარტიული საზოგადოებრივი გამოკითხვებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. მეტიც, მედიასაშუალებების მიერ წარმოებული გამოკითხვები (ე.წ. Vox populi გამოკითხვები), რომლის დროსაც კითხვები ისეა ფორმულირებული, რომ გარკვეულ სარედაქციო პოლიტიკას ასახავს და რომლებიც მხოლოდ სპეციფიკური აუდიტორიის აზრს გამოხატავს, კიდევ უფრო მეტად აზიანებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ღირებულებას.

2012 წლის დეკემბერში შედგა ბიძინა ივანიშვილისა და ჯორჯ სოროსის შეხვედრა, რომლის შემდეგაც, მალევე, 2013 წლის ივნისში, გამოქვეყნდა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მიერ დაფინანსებული [ანგარიში](#). ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით, NDI/CRRC-ისა და IRI-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვები ამ სფეროს სტანდარტად უნდა იქნას მიჩნეული. ზოგადად, კვლევითი ორგანიზაციების მეთოდოლოგია და დაფინანსება სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს. ასევე, მთავრობა და ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ევროპული კურსის მხარდამჭერებად გვევლინებიან, მეტად უნდა დაკავდნენ დეზინფორმაციასთან ბრძოლით და ნაკლებად დაუთმონ დრო ერთმანეთთან პაექრობას.



შტეფან მაისტერი, დირექტორი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი - სამხრეთ კავკასიის რეგიონი

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს, მედიას, ანალიტიკოსებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, წარმოდგენა შეიქმნან საზოგადოებაში არსებულ განწყობებსა და პოლიტიკურ პოზიციებზე. მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პროცესში, საზოგადოებრივი აზრის კვლევა მოქალაქეების ნების ამსახველი დემოკრატიული ინსტრუმენტის ნაცვლად, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალებად იქცა. ცალსახაა, რომ ის პოლიტიკოსები და მედია-საშუალებები, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საზოგადოების მანიპულირების მიზნით იყენებენ, არ არიან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით დაინტერესებული, ვინაიდან თავისი ქმედებებით პროფესიონალიზმის დისკრედიტაციას ახდენენ და დეზინფორმაციის გავრცელებას უწყობენ ხელს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია სრული გამჭვირვალობა, რათა მოხდეს საზოგადოების ნდობის მოპოვება და მათი კვლევის შედეგების ინსტრუმენტალიზების თავიდან აცილება. მედია-წიგნიერება უმნიშვნელოვანესია, როცა საქმე სოციალურ მედიას და მისი საშუალებით საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მცდელობებს ეხება. ამასთან, ყველა მოქალაქეს უნდა შეეძლოს საზოგადოებრივი გამოკითხვების დაფინანსების წყაროს და სხვადასხვა კვლევითი პროცედურის ხარისხის შემოწმება. ნეგატიური ტენდენციაა ის, რომ საზოგადოებრივი გამოკითხვების მზარდ რაოდენობასთან ერთად, ეს სოციოლოგიური ინსტრუმენტი უფასურდება. ამგვარად, მცირდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, როგორც საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის კომუნიკაციის საშუალების, ღირებულება. ასევე, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინსტრუმენტალიზაცია საზოგადოების პოლიტიკისგან გაუცხოებას უწყობს ხელს. შესაძლოა, არსებობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საერთო სტანდარტების შემუშავების საჭიროება, თუმცა, როგორც წესი, მსგავსი სტანდარტები ხშირად

ხდება მანიპულაციის საგანი. საზოგადოებრივი აზრის კვლევითმა ორგანიზაციებმა თავად უნდა დაამკვიდრონ გამჭვირვალე წესები, ხოლო საზოგადოება უწყვეტ რეჟიმში უნდა ახდენდეს ამ სტანდარტების გადამოწმებას. ამასთან, აუცილებელია საზოგადოების განათლებაში ინვესტიციის ჩადება, რათა მან ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულება შეძლოს.



ნინო ჯაფარიძე, ვიცეპრეზიდენტი, ედისონ რისერჩი

საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევების სიმცირეს არ განვიცდით, თუმცა მათი ხარისხი საკმაოდ განსხვავდება. ამ მხრივ, 2020 წელი ძალიან ჰგავს 2018 წელს. 2018 წელს იყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, რომლებიც არ შეესაბამებოდა რეალობას და გარკვეული ნარატივის შექმნას ემსახურებოდა. 2020 წელსაც იგივე ხდება: ქართულ საზოგადოებას აქტიურად ამარაგებენ „წარმოსახვითი“ რეალობებით. ის, თუ როგორ აფასებენ პარტიები წინასაარჩევნო გამოკითხვების მეთოდოლოგიას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რეიტინგი აქვს ამ პარტიას ამა თუ იმ გამოკითხვაში. ზოგიერთი პოლიტიკოსი საფრთხედ აღიქვამს მიუკერძოებელ გამოკითხვებს (მაგალითად, ედისონ რისერჩის, IRI-ისა და NDI-ის გამოკითხვები) და წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის ნაცვლად, კრიტიკას მიმართავს. იმგვარ პოლიტიკურ ნარატივებთან გასამკლავებლად, რომლებიც ქართული საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად, საუკეთესო სტრატეგია შემდეგია: პირველ რიგში, უნდა გაგრძელდეს პროფესიონალური და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ჩატარება; მეორე, მიზნად უნდა დავისახოთ დამოუკიდებელი გამოკითხვების შედეგების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა და მონაცემების სანდო ანალიზის საზოგადოებისთვის მიწოდება; მესამე, ხალხმა თვალყური უნდა ადევნოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს და დასკვნები თავად გააკეთოს.

ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის პროფესიული ასოციაციის შესაქმნელად. იმედია, რომ ეს ასოციაცია ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოებრივი აზრის კვლევის სექტორში პროფესიონალიზმის ზრდას და ჯანსაღი ანალიტიკური კვლევების წარმოებას. ედისონ რისერჩის მიერ საქართველოში, ამჟამად, მეექვსე წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის კვლევა ტარდება, რომლის შედეგებიც 31 ოქტომბერს დაგეგმილ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდება ცნობილი. არჩევნების დღეს, ედისონის ეგზიტპოლის შედეგები 20:00-22:00-ზე, ფორმულა ნიუსში იქნება გაშუქებული. იმედია, ბევრი ადამიანი მიადევნებს მას თვალს.

ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ განვასხვავოთ საჯარო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა იმ გამოკითხვებისგან, რომლებიც რომელიმე ორგანიზაციის შიდა გამოყენებისთვისაა გამიზნული ან კამპანიის სტრატეგიის დაგეგმვისთვის გამოიყენება.



იაგო კაკაჭიშვილი, სოციოლოგიის მიმართულების პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბოლო დროს, შეინიშნება საზოგადოებრივი აზრის კვლევის მზარდი პოლიტიზაცია, რომლის მიზეზი გარკვეული პოლიტიკურად მიკერძოებული მედია-საშუალებები და კვლევითი კომპანიებია. ამგვარ გარემოში, რიგით მოქალაქეს

ისღა დარჩენია, შეადაროს სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები, კრიტიკულად შეაფასოს ისინი და სცადოს ძირითადი ტენდენციებისა და განსხვავებების დადგენა. თუკი ერთი რომელიმე გამოკითხვის შედეგი არსებითად განსხვავდება ყველა დანარჩენი გამოკითხვის მიერ შექმნილი ზოგადი სურათისგან, იგი ამომრჩეველმა ყურადღების მიღმა უნდა დატოვოს.

NDI და IRI უზრუნველყოფენ, რომ იმ ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ადგილზე ახორციელებენ აქტივობებს, გამჭვირვალეა. მეორე მხრივ, ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ წარმოებულ გამოკითხვაში არაფერია ნათქვამი იმ ადგილობრივ ორგანიზაციებზე, რომლებმაც პირველადი მონაცემები შეაგროვეს.

საზოგადოებრივი აზრის დისკრედიტაციის მცდელობები მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებული წარმომადგენლობითი კვლევების მიმართ საზოგადოების ნდობას არყევს. მოსახლეობის უნდობლობა გამოკითხვებისადმი ღრმავდება. ამავდროულად, რაოდენ პარდოქსულიც არ უნდა იყოს, საზოგადოებაში მუდმივად არსებობს მოთხოვნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე. თუმცა, ვინაიდან სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები დიამეტრალურად განსხვავებულია, იზრდება ზოგადად გამოკითხვებისადმი აპათიური დამოკიდებულება.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, აუცილებელია პროფესიული ასოციაციის შექმნა, რომელიც გააკონტროლებს საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ორგანიზაციების შესაბამისობას ამ სფეროში მოქმედ სტანდარტებთან. დღემდე საქართველოში მსგავსი ასოციაცია არ არსებობდა, თუმცა ის მალე შეიქმნება USAID-ის, აშშ-ს ელჩის კელი დეგნანისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

“რეიტინგების ომი: შეუძლია თუ არა მას კვლევების მიმართ საზოგადოების ნდობის შერყევა”, ექსპერტთა კომენტარი #13, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი, 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge

WWW.GIP.GE